ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნანა მიქაუტაძე

გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირების სოციალური ინკლუზია საქართველოში-ძირითადი გამოწვევები.

სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: თამარ მახარაძე, საჯარო პოლიტიკის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი.

თბილისი 2019

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მდგომარეობის აღწერას განათლების, დასაქმების, გარემოსა და ტრანსპორტის ადაპტირების, ასევე საზოგადოების დამოკიდებულებისა და ინტერპერსონალური ურთიერთობის ზოგად განხილვას და ასევე გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირებზე ინფორმაციას ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების შესახებ.

კვლევა ჩატარდა ქალაქ თბილისში და ეფუძნება თვისებრივ მეთოდს-ჩაიწერა სიღრმისეული ინტერვიუები გადაადგილების შეზღუდვის მქონე ათ რესპოდენტთან. ასევე კვლევაში განხილულია ის ძირითადი სამეცნიერო ნაშრომები, კანონმდებლობა და სტატიები, რომელიც ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს.

კვლევის მიზანია გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირების ინტერპერსონალური ურთიერთობებსა და ზოგადად, ცხოვრებაზე მოქმედი ფაქტორების გაანალიზება; გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირების განათლებასა და პროფესიული კარიერის განვითარებასთან დაკავშირებული გამოწვევები; გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირების შესახებ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების და პოზიტიური დისკრიმინაციის შემთხვევების გაანალიზება.

კვლევამ აჩვენა, რომ გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირების მთავარი პრობლემაა განათლება, დასაქმების სირთულე, გადაადგილების სირთულე (არაადაპტირებული ქუჩები, შენობები და ტრანსპორტი), ასევე საზოგადოების სტიგმატური დამოკიდებულება მათ მიმართ, ეს ყველაფერი კი ართულებს საზოგადოებაში მათ ინკლუზიას და დიდ გავლენას ახდენს მათ პირად ცხოვრებაზეც.

კვლევაში გამოკვეთილი იყო ის ძირითადი მიზეზები, რის გამოც გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირებს ექმნებათ პრობლემები და მოცემულია ამ პრობლემების გადაჭრის გზებიც, რაც გულისხმობს შემდეგს: სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მშობლების, საჯარო მოხელეებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ, უნდა უზრუნველყოს ხელმისაწვდომი გარემოს შექმნა (ქუჩები, შენობები და ტრანსპორტი მაქსიმალურად უნდა იყოს ადაპტირებული), უნდა უზრუნველყოს შშმ პირებისათვის განათლებაზე მაქსიმალური ხელმისაწვდომობა, დაეხმაროს შშმ პირებს დასაქმებასა და სამუშაო ადგილის შენარჩუნებაში.

Abstract

Social inclusion of people with physical disabilities- main challenges.

N.Mikautadze

This study is general consideration about people with disabilities and their condition in education, employment, adaptation of environment and transport, attitude of society with them and interpersonal relationships; also specifically about people with physical disabilities.

This research carried out in Tbilisi. It relies on qualitative research methods with in-depth interviews with ten people with physical disabilities. There are also related state documents, local research reports and publications were studied within the frame of desk research.

The main aim of the study is to explore interpersonal relationships of people with physical disabilities; education and employment challenges of people with disabilities; stereotypes and positive discrimination cases about people with physical disabilities.

The research reveals that main problems of people with physical disabilities are education, employment, moving difficulties (non-adapted streets, buildings and transport) and also discriminatory attitude of society with them. This things make their life and social inclusion more difficult.

In order to solve some of this important problems, our government must icrease consciousness about people with disabilities (among parents, teachers, doctors, etc); increase number of adapted sreets, buildings and transport; make educational resourses easier for people with disabilities; and help them to find job.

სარჩევი

შესავალი.....5

1.საკითხის აქტუალურობა.....6

2.კვლევის დიზაინი.....7

2.1. კვლევის მიზანი

2.2. კვლევის ამოცანები

2.3. გამოყენებული მეთოდები

3.შშმ პირთა განათლება-ძირითადი გამოწვევები და მასთან გამკლავების გზები.....9

3.1. ზოგადი ინფრომაცია შშმ პირების განათლებასთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და პოზიტიურ ცვლილებებზე

3.2.გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირების განათლება- მიგნებები და დასკვნები

4.შშმ პირთა დასაქმება-ძირითადი გამოწვევები და მასთან გამკლავების გზები.....14

4.1. ზოგადი ინფრომაცია შშმ პირების დასაქმებასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე

4.2. გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირების დასაქმება-მიგნებები და დასკვნები

5. შშმ პირებისათვის გარემოსა და ტრანსპორტის ადაპტირებასთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევები.....23

6.ინტერპერსონალური ურთიერთობების და საზოგადოების დამოკიდებულების გავლენა შშმ პირების სოციალურ ინკლუზიაზე……26

დასკვნა.....33

გამოყენებული ლიტერატურა.....36

შესავალი

გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციას საქართველომ 2014 წელს მოაწერა ხელი და აიღო ვალდებულება, რომ დაიცვას შშმ პირთა უფლებები, ხელი შეუწყოს მათთვის გარემოს, განათლების, დასაქმების ხელმისაწვდომობას და მათ თანასწორობას საზოგადოების სხვა წევრებთან. (შშმ პირთა უფლებების კონვენცია, 2014)

ნაშრომში სწორედ ამ საკითხებზე იქნება საუბარი- რა გამოწვევები არსებობს საქართველოში ზოგადად შშმ პირებთან დაკავშირებით ზემოთ აღნიშნულ საკითხებში, რა კეთდება პრობლემების გადასაჭრელად და შემდეგ განხილული იქნება კონკრეტულად გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირების მდგომარეობა.

კვლევის მიზანია პირველ რიგში შშმ პირთა შესახებ ზოგადი სტატისტიკური, სამეცნიერო თუ სხვა ტიპის ინფორმაციის ნაშრომში გაერთიანება და ასევე იმ ინფრომაციის ასახვა, რაც მოვიპოვეთ შშმ პირებთან (კერძოდ, გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირებთან) ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუებიდან.

გარდა განათლებისა და დასაქმებისა, ნაშრომში საუბარი იქნება იმაზეც, თუ რა მდგომარეებაა საქართველოში შშმ პირთათვის გარემოს ადაპტირების კუთხით (ქუჩები, შენობები,ტრანსპორტი) და ასევე ვისაუბრებთ საზოგადოების სტიგმატურ დამოკიდებულებაზეც მათ მიმართ.

1.საკითხის აქტუალურობა

სანამ საქართველო ხელს მოაწერდა გაეროს შშმ პირების უფლებათა კონვენციას, მანამდე, 2004 წელს დაიწყეს ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა, თუმცა ამას გარკვეული სახის სირთულეები მოჰყვა სხვა მოსწავლეების მშობლების მხრიდან.

2009 წელს სახელმწიფომ მიიღო კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის შესახებ (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება #442/ნ, 2009 წლის 30 დეკემბერი), ეს კანონი ძალაში შევიდა 2010 წლის იანვრიდან. ამის შემდეგ, 2014 წელს საქართველომ გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირება მოახდინა (შშმ პირთა უფლებების კონვენცია).

საქართველოში შშმ პირთა რაოდენობის შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს. საქართველოს ეროვნული სტატისტიკის, ასევე სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფიციალურ გვერდებზე კონკრეტულად შშმ პირების რაოდენობის შესახებ სტატისტიკას ვერ იპოვით, რადგან ისინი გაერთიანებული არიან სხვა პენსიისა თუ სოციალური სარგოს მიმღები პირების რაოდენობასთან ერთად.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ კვლევაში (IDFI, 2017) ვკითხულობთ, რომ 2014 წლის საყოველთაო აღწერის დროს აღრიცხეს 100 113 შშმ პირი, მაშინ როცა 2015 წლის 1 მარტის მდგომარეობით სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ რეგისტრირებულია 118 651 მხოლოდ სოციალური სარგოს მიმღები შშმ პირი, ხოლო 2017 წელს-125 104. ასევე მნიშვნელოვანი პრობლემები შეინიშნება შშმ პირების ფუნქციური შეზღუდვის სახეების მიხედვით სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების თვალსაზრისით (IDFI,2017). შესაბამისად, ზუსტი ინფორმაცია არ გვაქვს შშმ პირთა საერთო (დაუზუსტებელი) რაოდენობიდან რამდენი არის გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირი.

შედარებით ზუსტი ინფორმაცია გვაქვს შშმ ბავშვების (0-18 წლამდე) შესახებ- მათი რაოდენობა 9004-ს აღწევს (ეს რაოდენობა იღებდა სოციალურ სარგოს ბოლო წლების მონაცემების მიხედვით), ხოლო რაც შეეხება ზრდასულ შშმ პირთა ჯგუფებს, მონაცემთა ბაზაში არ ფიქსირდება შემდეგი კატეგორიები:

1. ზომიერად გამოხატული შეზღუდვის მქონე პირები, რადგან ეს კატეგორია „სოციალური პაკეტის“ მიმღები პირი არ არის;
2. შშმ პირები, რომლებიც დასაქმებული არიან საჯარო სექტორში (სოციალური პაკეტი უნარჩუნდებათ მხოლოდ მკვეთრად გამოხატულ შშმ პირებს და მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატულ შშმ პირებს);

3. დაახლოებით 1000-მდე პირი გადანაწილებულია სხვადასხვა ფულადი ბენეფიტების მიმღებთა კატეგორიაში (სამხედრო მოქმედებების დროს დაღუპულ სამხედრო მომსახურეთა შშმ მშობლები,მეუღლეები ან შვილები).

ასევე აღსანიშნავია, რომ 60 წლის ასაკიდან სოციალური პაკეტის მიმღებთა როდენობაში დაფიქსირებულია მხოლოდ 950 ქალი, როცა 50-59 წლამდე კატეგორიაში წარმოდგენილია 23 000-ზე მეტი სოციალური პაკეტის მიმღები ქალი. ეს ფაქტორი გამოწვეულია იმით, რომ 60 წლიდან ქალები იღებენ ასაკობრივ პენსიას და უმრავლეს შემთხვევაში შშმ პირის კატეგორიიდან გადადიან საპენსიო ასაკით მიმღებ პირთა კატეგორიაში“. (კაკაჩია,ჟვანია, 2016)

ჩემს მიერ არჩეული ჯგუფის, კონკრეტულად მოტორული უნარის შეზღუდვა მოიცავს სირთულეების საკმაოდ ფართო სპექტრს, რომელიც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვადასხვა მდგომარეობით შეიძლება იყოს განპირობებული. მაგ: ცერებრული დამბლა, თავის ტვინის ტრამვული დაზიანება, ზურგის ტვინის დაზიანება, კუნთოვანი დისტროფია, ორთოპედიული პრობლემები და ჩონჩხ-კუნთოვან სისტემასთან დაკავშირებული სხვა მდგომარეობა.

გადაადგილების შეზღუდვის მოქნე პირები შშმ პირთა ჯგუფიდან ყველაზე ნაკლებად სტიგმატიზირებული ქვეჯგუფია. თუნდაც, სმენის შეზღუდვის მქონე პირებთან რომ შევადაროთ- ჟესტების ენა ძალიან ცოტა ადამიანმა იცის (ზოგჯერ სმენის შეზღუდვის მქონე პირების მშობლებმაც კი არ იციან), რაც ართულებს საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას. თუმცა, ისინიც განიცდიან დისკრიმინაციულ მოპყრობას, რაც ნეგატიურად აისახება მათ ცხოვრებასა და სოციალური ინკლუზიის პროცესზე.

ეს დისკრიმინაცია ზოგჯერ პოზიტიურ ხასიათს ატარებს. პოზიტიურ დისკრიმინაციაში მოიაზრება თუნდაც დასაქმება მხოლოდ იმიტომ რომ შშმ პირი ეცოდებათ, დახმარება როცა საჭირო არ არის და თვითონ შშმ პირი არ ითხოვს. არის შემთხვევები, როცა უბრალოდ თხოვნის გამო ასაქმებენ შშმ პირს და როგორც მასთან და ამ ორგანიზაციაში დასაქმებულ შშმ პირთან საუბარში გაირკვა, ამ თანამშრომლობით არცერთი მხარე კმაყოფილი არ დარჩა.(მახარაძე,ჟვანია,სტივენსონი, 2018).

2.კვლევის დიზაინი

2.1 კვლევის მიზანი

კვლევის მიზანი იყო უპირველეს ყოვლისა ყველა იმ დოკუმენტისა და ჩატარებული კვლევის შესწავლა, რაც ბოლო რამდენიმე წელში დაიწერა (ვგულისხმობ 2015-დღემდე ჩატარებულ კვლევებს/სტატიებსა და ა.შ). არსებულ დოკუმენტებში იგულისხმება შშმ პირთა უფლებების კონვენცია, ასევე ყველა ის კანონი, რომელიც შშმ პირების განათლებას, ჯანდაცვას, დასაქმებას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს ეხება.

კვლევის მიზანია გამოვკვეთოთ ის ძირითადი პრობლემები, რომელიც ამ ადამიანებს აწუხებთ (განათლების, დასაქმების, გარემოს ადაპტირებისა და საზოგადოების დამოკიდებულების საკითხები) და ამის შემდეგ, გავიგოთ მათი აზრი იმაზე თუ რა/ვინ თამაშობს ყველაზე დიდ როლს მათ წარმატებაში/წარუმატებლობაში; გავიგოთ, მათი აზრით რა არის ის აუცილებელი საკითხები, რომელიც სახელმწიფომ ან თუნდაც საზოგადოებამ უნდა გადაჭრას. შევიტყობთ მათ პირად ცხოვრებაზე და იმაზე, როგორ ახერხებენ არსებულ მდგომრეობასთან შეგუებას ან პირიქით-ბრძოლას...

2.2 კვლევის ამოცანები

1. გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირების ინტერპერსონალური ურთიერთობებსა და ზოგადად, ცხოვრებაზე მოქმედი ფაქტორების გაანალიზება;
2. გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირების განათლებასა და პროფესიული კარიერის განვითარებასთან დაკავშირებული გამოწვევები;
3. გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირების შესახებ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების და პოზიტიური დისკრიმინაციის შემთხვევების გაანალიზება.

2.3 გამოყენებული მეთოდები

კვლევისას გამოყენებული იყო ორი მეთოდი- პირველი: დოკუმენტების, სტატიების, ფაქტების და უკვე არსებული ინტერვიუების შესწავლა და მეორე: სიღრმისეული ინტერვიუ. ინტერვიუები ჩატარდა იმ გადაადგილების შეზღუდვის მქონე ადამიანებთან, რომლებიც მიუხედავად შეზღუდული შესაძლებლობებისა წარმატებულები არიან და ასევე იმ შშმ პირებთანაც, რომლებმაც ვერ შეძლეს საკუთარი თავის რეალიზება ან საზოგადოებაში სათანადო ინტეგრაცია.

კვლევა ჩატარდა ქალაქ თბილისში. ჩაიწერა სულ 10 ინტერვიუ. რესპოდენტების ასაკი მერყეობს 20-დან 40 წლამდე. 8 რესპოდენტი დასაქმებულია, 2 სტუდენტი და

ჯერჯერობით უმუშევარი. 3 რესპოდენტი დაოჯახებულია, დანარჩენი დასაოჯახებელი. უმრავლესობას მხოლოდ საშუალო განათლება აქვს მიღებული, თუმცა ბევრი ტრენინგი და გადამზადება აქვთ გავლილი და სხვა შშმ პირების სოციალური ინკლუზიაშიც აქტიურად მონაწილეობენ.

ინტერვიუ დაყოფილი იყო რამდენიმე ნაწილად. კერძოდ, საუბარი გვქონდა მშობლებთან და დასთან/ძმასთან ურთიერთობაზე, განათლებაზე, სამსახურზე და პირად ცხოვრებაზე (პირად ცხობრებაში ვგულისხმობ პარტნიორთან ურთიერთობას, ზოგადად სექსუალურ ცხოვრებას). ვისაუბრეთ როგორი ურთიერთობა აქვთ მშობლებთან, რამდენად გრძნობენ მათ ემოციურ მხარდაჭერას და რა როლი ითამაშა მათ წარმატებაში მშობლების დამოკიდებულებამ. მსგავსი კითხვები დავსვით დის/ძმის და მეგობრების შესახებაც. დავინტერესდით მეგობრებთან შეხვედრის სიხშირით და იმითაც, მეგობრები სტუმრობენ შშმ პირებს სახლში თუ პირიქით, ზოგადად სად ამჯობინებენ შეხვედრას და რითი ერთობიან; ვისაუბრეთ განათლების მიღების დროს არსებულ სირთულეებზე- იქნებოდა ეს მოსწავლეების/ მასწავლებლების დამოკიდებულების თუ სკოლაში არსებული/არარსებული სათანადო აღჭურვილობის საკითხი; ვისაუბრეთ შშმ პირებისათვის სამსახურის ძიებისას არსებულ პრობლემებზე, თანამშრომლებისა და ზემდგომი პირების დამოკიდებულებაზე, ზოგადად კომპანიის მზადყოფნაზე შშმ პირის დასაქმებასთან დაკავშირებით (შექმნილი არის თუ არა შესაბამისი პირობები) და რა სირთულებს აწყდებიან ყველაზე ხშირად უკვე დასაქმებული შშმ პირები. ვისაუბრეთ მათ პირად ცხოვრებაზეც, ვკითხეთ ჰყავთ თუ არა მეუღლე/პარტნიორი და ვთხოვეთ ამის შესახებ მოყოლა.

3.შშმ პირთა განათლება-ძირითადი გამოწვევები და მასთან გამკლავების გზები

3.1. ზოგადი ინფორმაცია შშმ პირების განათლებასთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და პოზიტიურ ცვლილებებზე

შშმ პირთა უფლებების კონვენციის 24-ე მუხლის თანახმად: "მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას განათლებაზე. ამ უფლების დისკრიმინაციის გარეშე და თანაბარ პირობებში რეალიზებისათვის, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვასა და მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების მიღების მისაწვდომობას."

ცხოვრების მანძილზე ყველა ბავშვს გარკვეულ ეტაპებს შორის უწევს გადასვლა(ტრანზიცია), რომელთა შორის სკოლაში შესვლა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია. ბავშვის სკოლაში შესვლა ხშირად საკმაოდ ბევრ ცვლილებას უკავშირდება, მას უწევს სრულიად უცხო და სრულიად განსხვავებული გარემოში მოხვედრა, ბავშვის მიმართ გაზრდილია მოთხოვნები და მოლოდინები, მას უწევს შეეგუოს ახალი წესებს და რუტინას, ბევრ უცხო ადამიანს, დგება ახალი კავშირების საჭიროება, გაზრდილია ვალდებულებები, მათ შორის მეტი დამოუკიდებლობისა და მეტი პასუხისმგებლობის საჭიროება და სხვა. „სკოლაში ტრანზიცია, რომელიც კრიტიკულ პერიოდად არის მიჩნეული ნებიმიერი ბავშვისთვის, კიდევ უფრო კომპლექსური და გამოწვევებით სავსე შეიძლება აღმოჩნდეს ბავშვებისთვის, რომელთაც სპეციალური საჭიროებები გააჩნიათ. სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვს, შესაძლოა არ ჰქონდეს საკმარისი სკოლამდელი გამოცდილება; შეზღუდული შესაძლებლობისა თუ ჯანმრთელობის პრობლემების გამო, არ ჰქონდეს ან საკმარისად არ ჰქონდეს გამომუშავებული თვითმომსახურების და სკოლის გარემოში დამოუკიდებლად ფუნქციონირებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები, ბავშვი არ იყოს მიჩვეული საკმარის დამოუკიდებლობას და სხვა" (წულაძე,ხვადაგიანი, 2018).

შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესი თავიდან ძალიან რთული აღმოჩნდა საქართველოში. 2004 წელს, როცა ინკლუზიური განათლების დანერგვა დაიწყეს (ინკლუზიური განათლება,2019) , მშობლების გარკვეულმა ნაწილმა პროტესტი გამოთქვა შშმ პირების მათ შვილებთან ერთად სწავლასთან დაკავშირებით. ამის მიზეზი პირველ რიგში ინფორმაციის ნაკლებობა იყო შშმ პირების და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. შშმ პირებს შეზღუდული აქვთ შეზღუდული შესაძლებლობების არმქონე ბავშვებთან თანაბარი ხარისხის სასკოლო განათლების მიღების რეალური შესაძლებლობა. ხშირია შემთხვევა, როცა კლასს/სკოლას, სადაც შშმ პირი სწავლობს, არ ჰყავს ე.წ. სპეცმასწავლებელი, რომელიც შშმ მოსწავლესთან ერთად უნდა იმყოფებოდეს გაკვეთილზე და უნდა ეხმარებოდეს ძირითად მასწავლებელს

გაკვეთილის ბავშვისთვის ახსნაში. განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა რეგიონებში (მითუმეტეს მაღალმთიან რეგიონებში), სადაც მშობლებსაც კი არ აქვთ საჭირო ინფორმაცია შშმ პირების განათლებაზე და სხვა საკითხებზე, სკოლის სპეც-აღჭურვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ყველაზე დიდი პრობლემა მაინც ადაპტირებული სკოლების მცირე რაოდენობაა და ასევე შესაბამისი სასწავლო მასალის არარსებობა (გაჩეჩილაძე,აბულაშვილი,2019).

უმაღლეს განათლებას რაც შეეხება, აქაც უმრავლეს შემთხვევაში არაადაპტირებული გარემო გვხდება გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირებისათვის. ჟესტური ენის თარჯიმანთა რაოდენობა მცირეა და შესაბამისად, ვერ ეხმარებიან სათანადოდ სმენის არ მქონე სტუდენტებს სწავლის პროცესში; რაც შეეხება წიგნებს უსინათლოებისათვის- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და თავისუფალმა უნივერსიტეტმა გამოყვეს პირი/პირები, რომლებიც წაუკითხავენ უსინათლო სტუდენტებს სასწავლო მასალას, ხოლო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა, საქართველოს უნივერსიტეტმა და ჯიპამ ნაწილობრივ უზრუნველყვეს უსინათლო სტუდენტები აუდიო ფორმატის სასწავლო მასალით. (გუმბერიძე,2015)

წლების განმავლობაში შშმ პირთა უდიდესი ნაწილი არ ღებულობდა არათუ უმაღლეს, არამედ დაწყებით და საშუალო განათლებასაც კი. შშმ ბავშვთა უმრავლესობა არ სარგებლობდა სავალდებულო საშუალო განათლებით და იზრდებოდა სკოლა-ინტერნატებში, ან სახლში იღებდა განათლებას. ეს ფაქტი კიდევ უფრო მეტად განაპირობებდა ამ კატეგორიის ბავშვების გარიყვას დანარჩენი საზოგადოებისაგან. ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აქტიურად მუშაობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა ინკლუზიაზე, ხორციელდება ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმების შემუშავება, სპეციალური პედგოგების მომზადება/გადამზადება, რაც განაპირობებს შშმ ბავშვების- ე.წ. „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე“ ბავშვების მაქსიმალურ ჩართვას საგანმანათლებლო სისტემაში. თუმცა შშმ ბავშვთა დიდი ნაწილი კვლავ რჩება განათლების მიღმა. ნაწილი არ დადის ან ფიქტიურად ირიცხება სკოლაში.(კაკაჩია, ჟვანია, 2016).

2016 წელს UNICEF-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ (UNICEF-საქართველო, 2016) აჩვენა, რომ ჯერ კიდევ (ინკლუზიური განათლების დანერგვიდან 12 წლის შემდეგ) შეინიშნებოდა სტიგმატური დამოკიდებულება შშმ ბავშვების მიმართ იმის გამო, რომ შშმ ბავშვს აღიქვამენ განსხვავებულად; შეზღუდულ შესაძლებლობას აღიქვამენ გადამდებ დაავადებად; შშმ ბავშვებს აღიქვამენ სხვებზე დამოკიდებულ ინდივიდებად; ასევე საზოგადოებაში შშმ პირებზე გარკვეულ წარმოდგენებს აყალიბებს სხვადასხვა რელიგიური და კულტურული ნორმები.

მნიშვნელოვანი პოზიტიურ ცვლილებებს რაც შეეხება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის ფარგლებში- „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში“ განხორხიელდა შემდეგი აქტივობები:

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) აპლიკანტთა პროფესიულ განათლებაში ჩარიცხვის ახალი მექანიზმის საფუძველზე, 2014 წელს 16 სხვადასხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, 31 განსხვავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხა სსსმ 109 პირი. აქედან 68 ინტელექტუალური შეზღუდვით და სწავლის სიძნელეებით, 21 სმენის შეზღუდვით, 14 მხედველობის შეზღუდვით და 5 ფიზიკური შეზღუდვით.
2. ნორვეგიელი პარტნიორების დახმარებით, შეიქმნა ქართული ჟესტური ელეტრონული გვერდი, რომელზეც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული ლექსიკა და ტერმინოლოგია განთავსდება; რამდენიმე შეხვედრა შედგა სფეროს ნორვეგიელ ექსპერტებთან, მომზადდა სატენდერო წინადადება და გამოვლინდა გამარჯვებული ორგანიზაცია, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან კოორდინაციით განახორციელებს ქართული ჟესტური ენის განვითარებისკენ მიმართულ აქტივობებს.
3. მომზადდა საფუძველი მხედველობის პრობლემების მქონე სტუდენტებისთვის მობილობისა და ორიენტაციის ტრენინგების ჩასატარებლად და ეტლით მოსარგებლე პირების პროფესულ სასწავლებლებში ტრანსპორტირებისას პერსონალური ასისტენტით უზრუნველსაყოფად;
4. საქართველოს მთავრობის #41 დადგენილების (2014 წ. იანვარი) და უნივერსალური დიზაინის პრინციპებზე დაყრდნობით, დაიწყო მუშაობა და 2015 წლის იანვარში დასრულდა ხუთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეკონსტრუქციის პროექტი;
5. მომზადდა საინფორმაციო ბროშურა დამსაქმებლებისათვის, რომლის მიზანია მათი ცნობიერების ამაღლება სსსმ და შშმ პირების დასაქმების მიმართ. (კაკაჩია,ჟვანია, 2016)

3.2.გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირების განათლება- მიგნებები და დასკვნები

ყველა შშმ პირთან ინდივიდუალური მიდგომაა საჭირო, რადგან სხვადასხვა ტიპის შეზღუდვასთან გვაქვს საქმე. „მოტორული/ფიზიკური სირთულეების მქონე ბავშვს შესაძლოა უჭირდეს დაფასთან დგომა და დაფაზე წერა; საწერი, სახატავი საშუალებების, მაკრატლის და სხვა ხელსაწყოების გამოყენება, წიგნის გადაფურცვლა, კლასში მიმდინარე აქტივობებზე კონცენტრირება, წერითი პროდუქტის შექმნა, სხვებთნ კომუნიკაციის დამყარება, დასვენების დროს თანატოლებთან ერთად გართობა, წამოდგომა, გადაჯდომა, სასწავლო გარემოს ერთი სივრციდან მეორეში გადასვლა თვითმომსახურების აქტივობების შესრულება...“ (წულაძე,ხვადაგიანი,2018).

ამ ყველაფერთან გასამკლავებლად საჭირო არის-

1.ფიზიკური გარემოს მორგება (შენობის შესასვლელი, სველი წერტილი, ოთახების/კარის ზღურბლები და ა.შ) ბავშვის უსაფრთოებისა და სხვადასხვა სივრცეზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით;

2.ადაპტირებული ავეჯის შერჩევა/მომზადება; ადაპტირებული დამხმარე საშუალებების/მოწყობილობების შერჩევა/მომზადება(მაგ: ადაპტირებული საწერი კალამი, ფურცლის დასაფიქსირებელი და ა.შ);

3.ტრანსპორტით უზრუნველყოფა (გადაადგილების გამოხატული სირთულეების მქონე ბავშვის შემთვევაში);

4.სპეციალური მასწავლებლის, სხვა დამხმარე სპეციალისტის დაქირავება (საჭიროების შემთხვევაში) და მომზადება კონკრეტული ბავშვისთვის სწორი ხელშეწყობის გაწევის კუთხით;

5.კლასის დამრიგებლის და სხვა მასწავლებლის მომზადება-ბავშვის საჭიროების შესახებ ინფორმირება და კონკრეტული ბავშვის სასწავლო პროცესში სწორი ხელშეწყობის გაწევის კუთხით გაძლიერება;

6.თანატოლების, თანაკლასელების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელება;

7.მშობლებთან მუშაობა, დამხმარე მოწყობილობების მიმართ სწორი დმოკიდებულების ფორმირების ხელშეწყობა, ბავშვის დამოუკიდებლად ფუნქციონირების ხელშეწყობა ზემზრუნველობის სანაცვლოდ,ემოციური მზარდაჭერა ბავშვის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შფოთვების დასაძლევად და სხვა. (წულაძე,ხვადაგიანი,2018).

რესპოდენტები, რომლებიც ბავშობიდან არიან შშმ პირები, სკოლის პირველ წლებში (პირველიდან მეოთხე-მეხუთე კლასამდე) განათლებას სახლში იღებდნენ (მასწავლებლები აკითხავდნენ), მაგრამ შემდეგ თვითონვე მოინდომეს, რიგ შემთხვევაში სკოლის დირექტორმა შეუწყო ხელი (კლასი გადმოიტანა პირველ სართულზე და სპეც-შესასვლელიც გააკეთებინა).

ერთ-ერთი რესპოდენტი იხსენებს, რომ მის ბავშვობაში, 90-ან წლებში სირცხვილადაც კი ითვლებოდა შშმ ბავშვის ოჯახში ყოლა და ყველაფერს აკეთებდნენ მათ სახლში ჩასაკეტად. შშმ პირთა დაავადებებს თვლიდნენ გადამდებად. „შემდეგში ორი ომი გადავიტანეთ და არ იყო იმის ფუფუნება, რომ ამ მხრივ ცნობიერების ამაღლებაზე გვემუშავა. ამის შემდეგაც, შშმ პირებს ქველმოქმედების ობიექტებად აღიქვამდნენ, 2015 წლამდე არაფერი არ იყო, არ იცოდნენ რომ სკოლა, ბაღი და ქალაქში გადაადგილება შშმ პირებსაც სჭირდებოდათ..“

რესპოდენტების სრული უმრავლესობა სკოლაში სწავლის პერიოდს კარგად იხსნებს, კლასელებთან და მასწავლებლებთან ყველა მათგანს კარგი ურთიერთობა ჰქონდა, არ გრძნობდნენ სტიგმატურ დამოკიდებულებას და რესპოდენტების ნაწილს დღემდე მეგობრული ურთიერთობას აქვს კლასელებთან.

რაც შეეხება უმაღლეს განათლებას, რესპოდენტების უმრავლესობას მხოლოდ სასკოლო განათლება აქვს მიღებული (ზოგ მათგანს არასრული საშუალო). ზოგი ამის მიზეზად არაადაპტირებულ გარემოს ასახელებს (სკოლა 90-იან წლებში დაამთავრა და მაშინ მითუმეტეს არაფერი არ იყო ადაპტირებული), ზოგი კი ამატებს, რომ ის სფერო, რაც მას აინტერესებს საქართველოში არამომგებიანია და იძულებულია თავი შეიკავოს.

ერთ-ერთ რესპოდენტს, რომელსაც პროგრესირებადი დაავადება აქვს (რევმატოიდული პოლიართრიტი), მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, თუმცა იხსენებს, რომ ინფრასტრუქტურის მხრივ ძალიან უჭირდა. უნივერსიტეტის შენობაში გადაადგილებას მხოლოდ დედ-მამის დახმარებით ახერხებდა, რადგან ლექციები ყოველთვის მეორე და მესამე სართულზე უტარდებოდა. არაადაპტირებული გარემოს გამო ორივე ფეხი მოიტეხა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან დაპირისპირება მოუხდა, რადგან ამ შემთხვევის შემდეგაც არ მომხდარა სათანადო რეაგირება.

4.შშმ პირთა დასაქმება-ძირითადი გამოწვევები და მასთან გამკლავების გზები

4.1. ზოგადი ინფრომაცია შშმ პირების დასაქმებასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე

შშმ პირთა უფლებების კონვენციის 27-ე მუხლის თანახმად: „მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას შრომაზე, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე; აღნიშნული მოიცავს საკუთარი შრომით ცხოვრების უზრუნველყოფის შესაძლებლობის მოპოვების უფლებას,მაშინ როდესაც შრომითი ბაზარი და სამუშაო გარემო არის ღია, ინკლუზიური და მისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის... რათა აიკრძალოს შეზღუდული შესაძლებლობით გამოწვეული ნებისმიერი დისკრიმინაცია დასაქმების ყველა ფორმასთან დაკავშირებულ საკითხებში, მათ შორის: სამუშაოზე აყვანის პირობები, დაქირავება და დასაქმება; სამუშაო ადგილის შენარჩუნება, სამსახურეობრივი წინსვლა, სამუშაო ადგილის უსაფრთხოება და ჯანსაღი გარემო...“

მიუხედავად იმისა, რომ შშმ პირთა მიმართ განსახორციელებელი ღონისძიებების ჩამონათვალი საკმაოდ დიდია, (რაც გულისხმობს ხელმისაწვდომობას, მონაწილეობას, თანასწორობას, განათლებას და პროფესიულ მომზადებას, სოციალური დაცვას, ჯანმრთელობას და სხვა) უმთავრესი მაინც დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები და თავად დასაქმების კომპონენტია, რადგან „ის განაპირობებს შშმ პირთა სოცილურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, დამოუკიდებელი ცხოვრებისა და სრული სოციალური ინტეგრაციის შესაძლებლობას“. (კაკაჩია, ჟვანია, 2016).

„დაავადებებისა და დაზიანებების სახეობებისა და ხარისხის ფართო სპექტრი განაპირობებს შშმ პირების ფართო კატეგორიზაციას, რაც თავის მხრივ საჭიროებს მათი რეაბლიტაცია/აბილიტაციისა და დასაქმების მხარდამჭერი ღონისძიებების მრავალფეროვნებას. დარღვევებისა და შესაძლებლობების შეზღუდვის სახეები გარკვეულწილად განსაზღვრავს მათი დასაქმების პირობებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, თუმცა მაინც გაუმართლებელია შეზღუდვის სახეობისა და კატეგორიის მიხედვით განზოგადებული აკრძალვებისა და რეკომენდაციების შეთავაზება, რასაც პრაქტიკაში ხშირად აქვს ადგილი.

შეზღუდული შესაძლებლობის პირთა მიმართ ინდივიდუალური მიდგომა აუცილებელია, რათა ზუსტად დადგინდეს მათი შეზღუდვის ტიპი და შემდეგ უნდა მოხდეს სარებილიტაციო რეკომენდაციებისა და ინდივიდიალური პროგრამის შემუშავება. „ცნობილია, რომ შშმ პირების ნაწილი დასაქმებისათვის არ საჭიროებს რაიმე სპეციალურ მხარდაჭერას, ნაწილი საჭიროებს მხარდაჭერის შედარებით

მარტივად განსახორციელებელ ღონისძიებებს, ნაწილი კი უფრო ინტენსიურ და კომპლექსურ თანადგომას. შესაბამისად, განსხვავებულია მათი დასაქმების შესაძლებლობები და მხარდაჭერის მიმართულებები.“ (კაკაჩია,ჟვანია, 2016)

მიუხედვად ზემოაღნიშნულისა, სახელმწიფო შშმ პირებს სთავაზობს ფაქტობრივად მხოლოდ დღის ცენტრს. 2017 წელს თამარ მახარაძის მიერ ჩატარებული კვლევაში (მახარაძე, 2017) ნათლადაა გამოკვეთილი ის ძირითადი პრობლემები, რომელიც დღის ცენტრებში არსებობს. პირველ რიგში, არაა გათვალისწინებული სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისა და სხვადასხვა ტიპის შეზღუდვის მქონე ბენეფიციარების ინდივიდუალური საჭიროებები; პრობლემას წარმოადგენს პერსონალის კვალიფიკაცია და მათი დენადობა (ძირითადად დაბალი ხელფასის გამო); არაა საკმარისი ადგილები და შშმ პირების ნაწილი ლოდინის რეჟიმშია (ელოდება როდის გათავისუფლდება დღის ცენტრში მისთვის ადგილი); არაა საკმარისი დაფინანსება და რაც მთავარია, არ არსებობს დღის ცენტრის ალტერნატივა; სახელმწიფოს მიერ დაწესებული არის ე.წ. კვოტა ანუ ბენეფიციართა განსაზღვრული რაოდენობა, რომლის ფარგლებში უნდა განხორციელდეს მომსახურება ანუ დღის ცენტრებს რეალურად მეტი ბენეფიციარის მიღება შეუძლიათ.

ამავე კვლევაში შედარებისთვის მოყვანილია ბალტიისპირეთის ქვეყნების (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი) მაგალითები, სადაც საქართველოსგან განსხვავებით, დღის ცენტრის გარდა არსებობს დაცული სოციალური სახელოსნოები/შელტერები (მოკლევადიანი და გრძელვადიანი). ეს სახელოსნოები განიხილება, როგორც პროფესიული მომზადების, ტრენინგის ფორმა. სახელოსნოები ფინასდება სახელმწიფოს მხრიდან და ამავდროულად მათ შემოსავალი აქვთ შშმ პირების მიერ დამზადებული პროდუქციის გაყიდვიდან. ამასთან ერთად, ბალტიისპირეთის ქვეყნებს აქვთ კარგად ჩამოყალიბებული სახელმწიფო სოციალური პოლიტიკა, შემუშავებულია სხვადასხვა სახის ეროვნული პროგრამები/სტრატეგიები, რომლებიც გულისხმობს გრძელვადიან მიზნებსა და წლიურ გეგმებს (მოკლევადიან მიზნებს); „შშმ პირებისთვის განკუთვნილი მომსახურებები ითვალისწინებს სამიზნე ჯგუფის ასაკს, ფუნქციურ შესაძლებლობებს და იმ საჭიროებებს, რაც მათ ყოველღიურ ცხოვრებაში აქვთ. შშმ პირების მომსახურება მაქსიმალურად ხდება მათთვის ჩვეულ გარემოში (სახლში, სკოლაში, ადგილობრივ თემში), თუმცა საჭიროების შემთხვევაში ასევე უზრუნველყოფილი არიან დამატებითი მხარდაჭერით.“ (მახარაძე, 2017).

საქართველოს შრომის კოდექსის მეორე მუხლის მესამე ქვეპუნქტის მიხედვით- „ შრომით ურთიერთობაში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური ან რაიმე გაერთიანებისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა

შეხედულების გამო.“ (საქართველოს შრომის კოდექსი), თუმცა რეალურად შშმ პირთა დისკრიმინაცია ხდება, რაზეც მიუთითებს დასაქმებული შშმ პირების მცირე რაოდენობა. ასევე, შშმ პირთა უფლებების კონვენციის თანახმად, სახელმწიფომ თვითონ უნდა უზრუნველყოს შშმ პირების საჯარო სამსახურში დასაქმება...

2015 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად (სუმბაძე,მახარაძე,აბაშიძე,ჟვანია, 2015), ყველაზე მეტი შშმ პირი დიდ საწარმოებში მუშაობს.(ნახევარზე მეტი მუშაობს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში (შპს), დანარჩენი რაოდენობა განაწილებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის და არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის სტატუსის მქონე საწარმოებში). ყველაზე დიდი პრობლემა შშმ პირებისათვის სამსახურამდე მისვლა და სამსახურში გადაადგილებაა, შემდეგ მოდის უკვე სხვა პრობლემები. თუმცა უმთავრესი საკითხი რათქმაუნდა შშმ პირის სამსახურში აყვანაა.

შედარებისთვის, სუბსიდირების პროგრამით დასაქმებული შშმ პირების რაოდენობა 2017 წელს იყო 37 ადამიანი (თბილისი, იმერეთი, კახეთი, შიდა ქართლი, აჭარა, სამეგრელო, გურია), ხოლო 2018 წელს (9 თვის მდგომარეობა) მხოლოდ 11. ამასთან ერთად, სუბსიდირების პროგრამის მიღმა მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტთა ძალისხმევით დასაქმებულთა რაოდენობა 2017 წელს იყო ჯამში 42 ადამიანი, ხოლო 2018 წელს აღნიშნული რაოდენობა 29-მდე შემცირდა. (მახარაძე, ჟვანია, სტივენსონი, 2018). აღნიშნული რაოდენობის მკვეთრი ვარდნა დაკავშირებულია 2018 წელს სუბსიდირების პროგრამასთან დაკავშირებულ ცვლილებასთან- შრომის ანაზღაურების სუბსიდირების პერიოდის (ოთხი თვე) გასვლის შემდეგ , კომპანიამ შშმ პირს ხელშეკრულება არანაკლებ ექვსი თვით უნდა გაუგრძელოს.

აქვე აღვნიშნავ, რომ სუბსიდირების ფარგლებში დასაქმებული შშმ პირთა რაოდენობაში 2017 წელს ყველაზე მეტი იყო ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირი (13 ადამიანი 37-დან) და ასევე სმენის შეზღუდვის მქონე პირები (14 ადამიანი 37-დან). სუბსიდირების პროგრამის მიღმა დასაქმებულების რაოდენობა შეზღუდვის კატეგორიების მიხედვით 2017 წელს იყო სულ 42, აქედან 12 ფიზიკური შეზღუდვის მქონე, 13 სმენის პრობლემების მქონე, 6 მხედველობის პრობლემებით და ა.შ, 2018-ში ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირები სამწუხაროდ აღარ დასაქმებულან სუბსიდირების პროგრამის მიღმა. (მახარაძე, ჟვანია,სტივენსონი, 2018)

მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტების სამსახური 2016 წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ურთიერთთანამშრომლობით დაინერგა. სოციალურ სააგენტოში მუშაობა დაიწყო 10 მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტმა და ერთი მხარდაჭერითი საქმიანობის კოორდინატორმა. მათ შესაბამისი გადამზადება გაიარეს

დიდ ბრიტანეთში სპეციალურად შექმნილი სატრენინგო მოდულის ფარგლებში. ამ წელსვე მუშაობა დაიწყეს თბილისსა და 5 რეგიონში: იმერეთი, შიდა ქართლი, კახეთი, გურია და აჭარა. სოციალური მომსახურების სააგენტოს 2018 წლის პროგრამაში ერთ-ერთ ღონისძიებად დასახელებულია 15 მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტის მომზადება, თუმცა რეალურად ისევ 10 კონსულტანტი აგრძელებს მუშაობას. (მახარაძე, ჟვანია,სტივენსონი, 2018).

სოციალური მომსახურების სააგენტოს მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტების მიერ გაწეული სამუშაო გულისხმობს:

1.დასაქმებით დაინტერესებული შშმ პირებისა და იმ დამსაქმებელთა ბაზის შექმნას, რომლებიც მზად არიან დაასაქმონ ვაკანსიის შესაბამისი პროფესიული კომპეტენციის მქონე შშმ პირები;

2. სამუშაოს მაძიებლების ბაზის და მათი პროფესიული პროფილის შედგენა; სამუშაოს მაძიებლის ინტერესებისა და პროფესიული პროფილის შესაბამისი სამუშაო ადგილის მოძიება და დამსაქმებელთან მოლაპარაკების დაწყება;

3.სამუშაოს მაძიებლისა და დამსაქმებლის დაკავშირება-მოლაპარაკებაში მონაწილეობა და სამუშაო ხელშეკრულების გაფორმება;

4.სამუშაო ადგილზე დასაქმებული შშმ პირის შენარჩუნება/დამაგრება-შშმ პირის ანაზღაურების სუბსიდირების პერიოდში ორ კვირაში ერთხელ სამუშაო ადგილზე ვიზიტი და მდგომრეობის შესწავლა. (მახარაძე,ჟვანია,სტივენსონი, 2018)

თამარ მახარაძის, ირინე ჟვანიასა და ლინდა სტივენსონის მიერ ჩატარებულ კვლევაში დასაქმების მხარდამჭერთა შესახებ (მახარაძე, ჟვანია,სტივენსონი, 2018) გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პრობლემები, რაც შშმ პირებს, დამსაქმებლებს და თავად მხარდამჭერ კონსულტანტებს ექმნებათ:

1. **დასაქმების არარეალისტური სურვილები**; (ხშირად შშმ პირებს სურთ ისეთ თანამდებობებზე დასაქმება, რომლის შესაბამისი არც განათლება აქვთ და არც სამუშაო გამოცდილება)
2. **დღის ცენტრი არ ზრუნავს შშმ პირების სოციალური უნარებისა და ყოველდღიური ჩვევების უკეთ განვითარებაზე**;
3. **ნაკლებად ხორციელდება მუშაობა შშმ პირთა პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით სკოლებსა და პროფესიულ სასწავლებლებში**;
4. **შშმ პირთა უმრავლესობა სოციალური სარგოს მიმღები პირია და ურჩევნიათ გარანტირებული სოციალური დახმარება, ვიდრე დასაქმება**;
5. **არადაპტირებული შენობები, გზები და საზოგადოებრივი ტრანსპორტი**.

ასევე აღსანიშნავია ქვეყანაში არსებული უმუშევრობის საკმაოდ მაღალი დონე : 2016 წ. მდგომარეობით 14%, 2017წ.- 13.9 % და 2018წ. 12.7% (საქსტატი, 2018)- და თვითდასაქმებულთა მაღალი წილი (გლეხური მეურნეობები).

ამავე კვლევაში აღნიშნულია, რომ შშმ პირთა მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულება აქვთ იმ დამსაქმებლებს, რომელთაც შშმ პირებთან თანამშრომლობის გამოცდილება არ აქვთ; დასაქმებული შშმ პირის შრომის ანაზღაურების სუბსიდირების პირობა ძირითადად საინტერესოა მცირე და საშუალო ბიზნესისათვის. უცხოური ბრენდის მსხვილი ორგანიზაციები, ასევე ზოგიერთი ადგილობრივი მსხვილი ორგანიზაცია შრომის ანაზღაურების სუბსიდირების გარეშეც მზად არის დაასაქმოს კვალიფიციური შშმ პირი.

დამსაქმებლები მზად არიან სამუშაო გარემოსთან და პირობებთან დაკავშირებით გაითვალისწინონ შშმ პირის საჭიროებები, თუ ეს მნიშვნელოვან ცვლილებებს არ საჭიროებს; სუბსიდირების პერიოდის დასრულების შემდეგ, დასაქმებულ შშმ პირთან ხელშეკრულების იმავე პირობებით სულ მცირე ექვსი თვით გაგრძელების ვალდებულება აშინებს მცირე და საშუალო ბიზნესს-ბევრი მათგანის საქმიანობა სეზონურია, ზოგის ბიზნესი კი არასტაბილური, რის გამოც ისინი უარს ამბობენ პროგრამაში მონაწილეობაზე

ზოგჯერ დამსაქმებელი უარს ამბობს სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობაზე, რადგან ცდილობს თავი აარიდოს სახელმწიფოსთან თანამშრომლობას-არ სურს თავის შიდა საქმეებში ჩაახედოს. (მახარაძეჟვანია,სტივენსონი, 2018)

თუმცა სამწუხაროდ დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტების დახმარებით დასაქმებული პირების რაოდენობა მცირეა და ის ქვეყანაში შშმ პირთა დასაქმების ზოგად სურათს ვერ ცვლის.

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს შშმ პირების სამუშაო ადგილებზე დამაგრება-შენარჩუნება. ასევე ნათელია, რომ პროგრამა ფარავს ძირითადად მსუბუქი და საშუალო შეზღუდვის მქონე პირებს.

კვლევამ (მახარაძე, ჟვანია ,სტივენსონი, 2018)აჩვენა, რომ „აღნიშნული სახელმწიფო პროგრამა შშმ პირების ფსიქოლოგიურ მდგომრეობაზე პოზიტიურად მოქმედებს-მნიშვნელოვნად ზრდის მათში დასაქმებისა და ზოგადად, სოციალურად აქტიური ცხოვრების მოტივაციას. გარდა ამისა ხელს უწყობს დამსაქმებლებსა და ზოგადად, საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობის მიმართულებით ცნობიერების ამაღლებას.“

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის ეფექტური განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

1. მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტების რაოდენობის გაზრდა, კომპეტენციის ამაღლება და ზოგადად ამ პროფესიის განვითარება;
2. პროგრამის შესახებ შშმ პირთა და მათი ოჯახის წევრების ინფორმირებულობის ამაღლება;
3. პროგრამაში გონებრივი განვითარების შეფერხებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა მონაწილეობის ხელშეწყობა;
4. პროგრამაში მონაწილეობისათვის დამსაქმებელთა მოტივაციის გაზრდა;
5. მხარდაჭერითი დასაქმების აქტივობების კოორდინირება სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამასთან;
6. სამუშაო ადგილის ადაპტირების კომპონენტის გაძლიერება;
7. მხრდაჭერითი დასაქმების კონსულტანტების, კარიერის მენეჯერებისა და დასაქმების აგენტების კოორდინირებული თანამშრომლობა;
8. თანამშრომლობა ადგილობრივ მთავრობებთან;
9. თანამშრომლობა პროფესიულ სასწავლებლებთან
10. თანამშრომლობა დღის ცენტრებთან.“ (მახარაძე, ჟვანია, სტივენსონი, 2018).

აღსანიშნავია, რომ არსებული მონაცემებით შშმ პირთა მხოლოდ 7% (9004) არის შშმ ბავშვი (0-18 წლამდე), მკვეთრად გამოხატული შშმ პირები საერთო რაოდენობის 20% (24 534) წარმოადგენს, ხოლო დანარჩენი 73% არიან მნიშვნელოვანი შეზღუდვის მქონე პირები. თუ გავითვალისწინებთ, რომ არსებული მონაცემები შეეხება 18 წლიდან საპენსიო ასაკამდე პირებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათი უმრავლესობის დაბრუნება შრომით ბაზარზე შესაძლებელია დასაქმების ხელშეწყობის პროგრამებით“. (კაკაჩია,ჟვანია, 2016).

IDFI კვლევის (2017) თანახმად, საქართველოში შეზღდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაქირავებით დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი მხოლოდ 4.8 % არის, რაც ძალიან ცოტაა, შედარებისთის ამავე კვლევაში მოყვანილია შვეიცარიაში, გერმანიაში, შვედეთში და ევროპის სხვა ქვეყნებში დასაქმებული შშმ პირების პროცენტული მაჩვენებელი. (დანართი იხილეთ გვ19-ზე).



4.2. გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირების დასაქმება-მიგნებები და დასკვნები

მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას უმაღლესი განათლება არა აქვს მიღებული, მათი ძირითადი ნაწილი დასაქმებული არის (8 რესპოდენტი), ორი კი სტუდენტია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რესპოდენტთა უმრავლესობა სკოლის ასაკიდან არის შშმ პირი, ზოგი კი დაბადებიდან, შესაბამისად მანამდე არანაირი სამუშაო გამოცდილება არ ჰქონიათ.

სამ რესპოდენტს ორი სამსახური აქვს. მხოლოდ ერთი მათგანი არის საკუთარი საქმით უკმაყოფილო, რადგან გარემო არაა ადაპტირებული, სამსახური სახლისგან შორს არის და გადაადგილებაში ეხარჯება ხელფასის ძირითადი ნაწილი. ამას ემატება ისიც, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება შეზღუდული/აკრძალული აქვს ორულობის გამო.

დასაქმებული რესპოდენტების სრული უმრავლესობა კმაყოფილი არის სამსახურის გარემოთი და თანამშრომლებთან ურთიერთობით. არ გრძნობენ მათგან სტიგმატურ დამოკიდებულებას და არც პოზიტიური დისკრიმინაციის მაგალითები ახსენდებათ.

საკუთარი პროფესიით დასაქმებული მხოლოდ ორი არის, აქედან ერთს აქვს უმაღლესი განათლება მიღებული, დანარჩენებს სხვადასხვა ტიპის სტაჟირება და ტრენინგები აქვთ გავლილი სამსახურში აყვანის შემდეგ.

ათი რესპოდენტიდან ორი მუშაობს არასრული სამუშაო გრაფიკით მათი შეზღუდული შესაძლებლობების გამო. ერთ-ერთი მათგანი დისტანციურად, სახლიდან მუშაობს- რადგან გადაადგილების გარდა მეტყველებაც უჭირს, დამსაქმებელი ორგანიზაცია ამ მხრივაც არ ზღუდავს... ასევე ერთ-ერთ რესპოდენტს პირადი მძღოლი ემსახურება (სახლიდან მიჰყავს სამსახურში და პირიქით). ეს თვითონ მოითხოვა და დამსაქმებელმა მისი მოთხოვნა დააკმაყოფილა, რადგან გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირებისათვის ტრანსპორტირება საკმაოდ რთულია, არასაკმარისად ადაპტირებული გარემოსა და შეზღუდული რაოდენობის ადაპტირებული ტრანსპორტის გამო.

შშმ პირთათვის გარემოსა და ტრანსპორტის ადაპტირებასთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევები

შშმ პირთა უფლებების კონვენციის მე9-ე მუხლის თანახმად: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ცხოვრების ყველა სფეროში მათი სრულყოფილი მონაწილეობისათვის, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ ფიზიკური გარემოს, ტრანსპორტის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, მათ შორის ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების, ასევე სხვა საზოგადოებისთვის ღია ობიექტებისა და მომსახურების თანაბარი მისაწვდომობა როგორც ქალაქის, ასევე სოფლის პირობებში.“

2014 წლის იანვარში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი შშმ პირებისთვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე (დადგენილება #41, 2014), რომლის თანახმადაც, იმ დროისათვის უკვე აშენებული ან მშენებარე საზოგადოებრივ ნაგებობებს ევალებოდათ 5 წლის განმავლობაში შშმ პირებისთვის შესაბამისი ადაპტირებული გარემოს შექმნა, ხოლო შემდეგში აშენებულ შენობებს არქიტექტურული გეგმის შემუშავებისთანავე გათვალისწინებული უნდა ჰქონოდათ აღნიშნული ბრძანება გარემოს ადაპტირების შესახებ. მერიის წარმომადგენელმა ინტერვიუს დროს ამ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ კანონის მიღებისას არ იყო გათვალისწინებული აღსრულების მექანიზმები და ძალიან ბევრი ხარვეზი გამოვლინდა, რის გამოც სანამ მოქალაქე უშუალოდ მერიასთან არ დაამყარებს კონტაქტს (შენობის თუნდაც ფასადის შეცვლასთან დაკავშირებით), მათ არ აქვთ უფლება მოითხოვონ შშმ პირთათვის შესაბამისი პანდუსისა თუ სხვა სახის ადაპტირებული შესასვლელის (სველი წერტილის, მაღლა სართულებში გადაადგილების და ა.შ) დამატება.

ამ კანონის მიღების შემდეგ, იმავე წელს „საქართველოს ბანკის“ დაფინანსებით თბილისის რამდენიმე გამზირსა და ქუჩაზე მოეწყო პანდუსები. პანდუსების მოწყობა შემდეგ წლებშიც გაგრძელდა და ქუჩები დღეს მეტნაკლებად ადაპტირებულია. ახლახანს დაიწყო ჭავჭავაძის გამზირის სრული რეაბილიტაცია-რემონტი, სადაც იგეგმება გარემოს ადაპტირება არამარტო გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირთათავის, არამედ სხვა შშმ პირებისთვისაც (მათ შორის სმენისა და მეტყველების, ასევე მხედველობის დარღვევის მქონე პირებისთვის), აღარ იქნება გამოყოფილი პანდუსები, ამის ნაცვლად საფეხმავლო გზა იქნება მთლიანად დახრილი ისე, რომ ყველა შშმ პირმა თავისუფლად შეძლოს გადაადგილება. აღსანიშნავია, რომ პეკინის ქუჩის რეაბილიტაციისას იგეგმებოდა მსგავსი ადაპტირებული ქუჩების გაკეთება, მაგრამ არ გამოიყო შესაბამისი ფინანსები მერიისგან, ამას დაემატა სამუშაოს შემსრულებელთა უპასუხისმგებლო მუშაობა და საბოლოო ჯამში ვერ მივიღეთ

სრულად ადაპტირებული გარემო. მსგავსი სამუშაოები დაწყებულია შარტავას და კოსტავას ქუჩებზე და შემდგომში იგეგმება სხვა ქუჩებზეც მთელი ქალაქის მასშტაბით, რადგან ამჟამად არსებული პანდუსები არ შეესაბამება სტანდარტებს და შშმ პირებს მაინც უჭირთ გადაადგილება.

სურათი #14 – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ინფრასტრუქტურის ადაპტირებაზე გაწეული ხარჯები

	2013	2014	2015	2016	2017
გლდანის გამგეობა	0	0	331,688,6	112,862.8	69,376
დიდუბის გამგეობა	-	-	46,525,7		-
ვაკის გამგეობა	-	-	816.2	-	-
ისნის გამგეობა	-	20,118,8	1,579	11,404.6	8,644.7
მთაწმინდის გამგეობა	-	-	-	-	31,847.3
ნაძალადევის გამგეობა	-	-	21,596	7,590.1	-
საგურამოს გამგეობა	-	36,984	-	21,033.9	-
ჩუღურეთის გამგეობა	-	-	-	51,944.3	5,208.3
სოფლისბოლოს გამგეობა	16,743				
კრწანისის გამგეობა	6,959.7				

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული კანონისა, დღემდე ძალიან ბევრი შენობა არაა ადაპტირებული, რომ აღარაფერი ვთქვათ ტრანსპორტზე. 2016 წელს თბილისის მერიამ გერმანული კომპანია "Man"-ისგან შეიძინა 143 ლურჯი ავტობუსი, რომელიც არის ადაპტირებული შშმ პირთათვის („რადიო თავისუფლება", 2016წ) თუმცა ეს ავტობუსები არის შეზღუდული რაოდენობით, არაა საკმარისი და ტრანსპორტის უდიდესი ნაწილი მაინც არაადაპტირებულია.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 2014 წელს იგეგმებოდა მსგავსი ავტობუსების ჩამოყვანა, მაგრამ მერიამ თანხები აღარ გამოყო ავტობუსების შესასყიდად. აღნიშნული ფაქტი გააპროტესტა საკრებულოსთან მოქალაქეთა ნაწილმა, თუმცა შესაბამისი რეაგირება ამას არ მოჰყოლია და 2016 წლამდე ქალაქში ადაპტირებული ტრანსპორტი არ არსებობდა. („ტაბულა", 2014 წ).

2019 წლის აპრილში ხელშეკრულება გაფორმდა თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა და ტენდერში გამარჯვებულ „ჯი თი გრუპს" შორის, რომლის თანახმადაც იგეგმება ახალი 8 მეტრიანი ადაპტირებული 220 ავტობუსის შესყიდვა. თბილისის მერიის ოფიციალური საიტის მიხედვით, კომპანიამ ივნისის ბოლოს უნდა წარმოადგინოს ავტობუსის პროტოტიპი და შემსყიდველის თანხმობის შემდეგ დაიწყება აღნიშნული 220 ავტობუსის წარმოების პროცესი. (თბილისის მერია, 2019) კონკრეტუალდ როდის გამოჩნდება ეს ავტობუსები თბილისის ქუჩებში, ჯერ ცნობილი არ არის.

„ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება სახელმწიფო სოციალური პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული მომსახურებიდან შემოიფარგლება მხოლოდ დამხმარე საშუალებებით (მაგ: ეტლი, ყავარჯენი, სმენის აპარატი,პროთეზი, ხელჯოხი და სხვა) უზრუნველყოფისა და დღის ცენტრის მომსახურებით. ამიტომ, თუ მათ კონკრეტული საჭიროება არ დაუდგათ, ფაქტობრივად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი მათთვის დამატებითი დახმარების სახეს არ განსაზღვრავს.“(კაკაჩია,ჟვანია, 2016). ერთ-ერთი რესპოდენტი ამ ფაქტზე აღნიშნავს, რომ არ აქვთ ეტლებში არჩევანი და ესეც დიდ პრობლემას წარმოადგენს.

გარდა ადაპტირებული ტრანსპორტის რაოდენობის გაზრდისა, თბილისის მერიის ყოველწლიურ გეგმაში (2108-2019) ჩადებულია შემდეგი პროგრამები:

1. შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა,
2. შშმ ბავშვთა და მოზარდთა საკუტორტო მომსახურება,
3. სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შშმ პირების დახმარება (თბილისის მერია,2019)

შშმ პირების საზოგადოებაში ინტერგრაციის ქვეპროგრამა ითვალისწინებს შშმ პირთა და მათი წარმომდგენელი ორგანიზაციების პროექტების დაფინანსებას და შშმ პირთა სხვა საჭირობებებით უზრუნველყოფას. უფრო კონკრეტულად აქ იგულისხმება კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა, განათლების და შემეცნებითი აქტივობების ხელშეწყობა, და სხვა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს 2015 წლის ივლისში თბილისში „პარასპორტის განვითარების ცენტრის“ სპორტული კომპლექსის გახნის ფაქტი. ეს ცენტრი საქართველოში ჯერჯერობით ერთადერთია და აერთიანებს საწვრთნელ-სარეაბილიტაციო დარბაზს, სპეციალურ აუზს, სარეაბილიტაციო მიმართულების მქონე სატრენაჟორო თერაპიულ კუთხეს. ცენტრში არის ფსიქოლოგის, მანუალური თერაპიის და ორთოპედული კაბინეტები. (თბილისის მერია, 2015)

16 ოქროს მედლის მქონე პარამოფარიკავე ირმა ხეცურიანის თქმით- „ისტორიაში პირველად გვყავს პარაოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები სულ 19 სახეობაში... მანამდე მხოლოდ ორი სახეობა იყო პარასპორტში“. აქვე აღვნიშნავ, რომ მომავალ წელს პარაოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობას მიიღებს პარაკალათბურთელთა გუნდიც, რომლის ყველა წევრი გადაადგილების შეზღუდვის მქონეა. ერთ-ერთი რესპოდენტის თქმით, ჩვენი ქვეყნის პარასპორტსმენების აქტიურობა, გამარჯვება და მიღებული ჯილდოებიც ემსახურება საზოგადოებაში შშმ პირთა შესახებ ცნობიერების ამაღლებას და მათ უკეთეს სოციალიზაციას.

გარდა ამისა, 2018 წლის დეკემბერში თბილისში გაიხსნა მძიმე და ღრმა დარღვევების მქონე შშმ ბავშვებისათვის ახალი, სპეცილიზებული საოჯახო ტიპის მოსახურება საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით. ინიციატივას შეუერთდა „m2 უძრავი ქონება“, რომელმაც სრულად დააფინანსა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთათავის განკუთვნილი სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურებისთვის სახლის მშენებლობა.

სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურება არის გარდამავალი მომსახურება სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის მძიმე და ღრმა დარღვევებით. მომსახურების მიზანია უზრუნველყოს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული ზრუნვა, ფსიქოსოციალური დახმარება და შესაბამისი პირობების შექმნა ბავშვების განვითარებისა და სოციალური ინკლუზიისათვის. (unicef საქართველო, 2018)

ინტერპერსონალური ურთიერთობების და საზოგადოების დამოკიდებულების გავლენა შშმ პირების სოციალურ ინკლუზიაზე.

სოციალიზაცია არის საზოგადოების წევრად ქცევის პროცესი, რომელშიც მონაწილეობას იღებენ მშობლები,სკოლა, მედია და სხვა სოციალური ინსტიტუტები. სოციალიზაციის პროცესის „წარმატებით“ გავლის შემდეგ ადამიანი ხდება საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, ადვილად განიცდის ადაპტაციას როგორც უკვე არსებული საზოგადოებრივი ნორმების მიმართ, ასევე შემდგომი ცვლილებების მიმართაც.

სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი და პასუხისმგებლობა აქვს იმ ზრდასულებს, რომლების ბავშვის ირგვლივ არიან. მშობელი, ოჯახის წევრი, სკოლამდელი განათლების სპეციალისტი, დაწყებითი განათლების მასწავლებელი და სხვა პირები ქმნიან ბავშვის სოციალურ გარემოს... სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში, დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევების განვითარება ადრეული ასაკიდანვე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. „ხშირად კი პირიქით ხდება-მშობლისა თუ ბავშვის გარშემო მყოფი სხვა პირების მიერ გაწეული ჰიპერმზრუნველობის გამო, ბავშვის არსებული უნარებიც კი გამოუყენებელი რჩება. ბავშვს ხშირად არ ეძლევა შესაძლებლობა დამოუკიდებლად განახორციელოს ესა თუ ის აქტივობა ან დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება. შედეგად, ზრდასულ ასაკშიც ის სხვებზე მნიშვნელოვნად დამოკიდებული რჩება.“ (წულაძე,ხვადაგიანი, 2018)

ზემოთ უკვე ვისაუბრე შშმ პირების ცხოვრებაში და სოციალიზაციაში სკოლისა და დასაქმების როლზე და ზოგადად ამ საკითხებთან დაკავშირებულ საქართველოში არსებულ სიტუაციაზე. ახლა კი გადავალ შშმ პირებისათვის (და არამარტო) არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხზე ანუ ინტერპერსონალურ ურთიერთობებზე და შშმ პირთა ცხოვრებაზე მის გავლენაზე.

ათ რესპოდენტთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ მათ უმრავლესობას ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს მშობლებთან, მეგობრობენ მათთან, არ გრძნობენ მათგან ჰიპერმზრუნველობას და პირიქით, ყველანაირად ხელს უწყობენ მათ სოციალიზაციას, დამოუკიდებლობისათვის და თვითრელიზებისათვის ხელშეწყობას. ერთ-ერთი რესპოდენტის თქმით დედა მარტოც კი ტოვებდა ოთახში, რათა მშობლების გარეშე ჩაცმა და სხვა თვითმოვლის ელემენტალური წესები ესწავლა, ზოგადად დამოუკიდებლობას მისჩვეოდა და მიაღწია კიდეც მიზანს.

გამონაკლისს წარმოადგენს რამდენიმე შემთხვევა, როცა რესპოდენტის თქმით მშობლებთან არც ისე კარგი ურთიერთობ აქვს „სხვადასხვა ინტერესების ქონის გამო“, ზოგი მათგანი მშობლებთან გართულებულ ურთიერთობას მათ ასაკს აბრალებს და აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის სისტემიდან გამოყოლილი სტიგმატური აზროვნება არის ძირითადი მიზეზი. იგივე შეიძლება ითქვას შშმ პირების დების/ძმების შესახებაც- ერთი რესპოდენტის გარდა ყველას ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს მათთან, ვერცერთი რესპოდენტი ვერ იხსენებს და-ძმასთან შედარებით მშობლებისგან ნაკლები ან მეტი ყურადღების ფაქტს.

მეგობრები რესპოდენტთა ნაწილს ძალიან ბევრი ჰყავს, ზოგს ცოტა და თვლიან რომ ბევრი მეგობარი არცაა საჭირო. ყველა მათგანი სხვადასხვა სიხშირით ერთობა და გართობის სხვადასხვა სახეს ირჩევს- ზოგისთვის ჭადრაკის თამაში ან თეატრში წასვლა წარმოადგენს გართობას, ზოგისთვის ყოველდღიურად მეგობრებთან შეხვედრა და ბარში, კონცერტზე ან უბრალოდ სასეირნოდ წასვლა; რამდენიმე რესპოდენტს კი ოჯახთან ყოფნა ურჩვნია (მეუღლესთან და შვილებთან) და ამასთანავე სამსახურის გამო გართობისთვის ნაკლები დრო რჩებათ; ზოგ მათგანს ექსტრემალური სპორტიც კი იზიდავს და პარაპლანითაც უფრენია; ერთ-ერთი რესპოდენტი კი ორი წლის განმავლობაში პარამოცეკვავე იყო... რამდენიმე რესპოდენტი , რომელიც ყველაზე მეტად სოციალიზებული და სტიგმებისგან თავისუფალია, აღნიშნავს რომ ყველაფრით ერთობა და მიუხედავად გარემოს არაადაპტირებულობისა, არანაირად არ იზღუდავს თავს.

დაოჯახებული, როგორც ზემოთ აღვნიშნე მხოლოდ სამი რესპოდენტია. რამდენიმე მათგანს ჰყავს პარტნიორი, ზოგი კი ამბობს, რომ ოჯახის შექმნაზე არც კი ფიქრობს. სამწუხაროდ, რამდენიმე მათგანის ცხოვრებაში ყოფილა ფაქტი, რომ მათთან ურთიერთობაზე უარი უთქვამთ მათი შეზღუდული შესაძლებლობების გამო. თუმცა ერთ-ერთი აღნიშნავს, რომ ეს მისთვის მოსალოდნელიც კი იყო.

კლასელებთან და მასწავლებლებთან ყველას ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, ზოგი რესპოდენტი დღემდე ინარჩუნებს კლასელებთან ურთიერთობას და მეგობრობს მათთან. ვერცერთი ვერ იხსენებს მათგან სტიგმატურ დამოკიდებულებას, პირიქით, ერთ-ერთი რესპოდენტი იხსენებს, რომ ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაციისას კლასელებისგან ძალიან დიდ თანადგომას გრძნობდა.

იგივე შეიძლება ითქვას კურსელებზე, ლექტორებზე და თანამშრომლებზე. ერთ-ერთი რესპოდენტი იხსენებს, რომ სამსახურში აყვანისას კომპანიის დირექტორმა გააკეთა აბსოლიტურად ყველაფერი მისთვის (და არამარტო) კომფორტული და ადაპტირებული გარემოს შესაქმნელად (აღნიშნულ კომპანიაში სამი შშმ პირია დასაქმებული).

საზოგადოების დამოკიდებულებას და მათთან ურთიერთობას რაც შეეხება, რესპოდენტთა სრული უმრავლესობა ერთ-ერთ მთავარ პრობლემად აღიარებს. საზოგადოების უმრავლესობას ჯერ კიდევ სტიგმატური დამოკიდებულება აქვს შშმ პირთა მიმართ. ერთ-ერთი რესპოდენტი აღნიშნავს: „ხალხმა არ იცის, რომ იმის მიუხედავად, რომ მათგან განსხვავებულად გადავაადგილდები, სხვანაირი მეტყველება და მანერები მაქვს, მეც მათნაირი ვარ.“ რესპოდენტების ნაწილი საზოგადოების სტიგმატურ დამოკიდებულებას იუმორით ხვდება, თუმცა მათ უმრავლესობას მსგავსი ფაქტების გადატანა უჭირთ. გამოსავალი მათივე აზრით განათლებაში, ცნობიერების ამაღლებაშია, ამაში კი სახელმწიფოს გარდა მონაწილეობა უნდა მიიღონ თვითონ შშმ პირებმა და იმ არასამთავრობო ორგანიზაციებმა რომლებიც მუშაობენ შშმ პირთა საკითხებზე.

მაგალითად, ერთ-ერთი რესპოდენტი ამბობს, როგორ ეხმარება ხოლმე ავტობუსის მძღოლი ავტობუსში ასვლაში, მაშინ როცა თვითონ არ გამოუხატავს დახმარების სურვილი- „ავტობუსის მძღოლებმა არ იციან როგორ მოგმართონ, რა ენით გელაპარაკონ. ბევრჯერ მისწავლებია, რომ მანქანა ახლოს დააყენონ გაჩერებასთან; რომ ხელი არ უნდა მომკიდონ, ჯერ შემომთავაზონ მინდა თუ არა დახმარება...“

ასევე ბევრს სამწუხაროდ ეშლება მიმართვის ფორმა, ჰგონიათ რომ გამოხატავენ პოზიტიურ დამოკიდებულებას და მზუნველობას, თუმცა პირიქით, გაღიზიანებას იწვევენ შშმ პირებში. მეორე რესპოდენტის თქმით, უკვე მიეჩვია რომ 30 წლის გოგოს 10 წლის ბავშვივით ექცევიან;

კიდევ ერთ ისტორიას მიყვება, 25 წლის რესპოდენტი ბიჭი-„როდესაც ტაქსის გამოვიძახებ, ხშირად ვეუბნები რომ გამოუშვან ფურგონის ტიპის მანქანა, რათა მძღოლს არ გაუჭირდეს ეტლის მანქანაში მოთავსება. ერთხელ, ოპერატორმა მიპასუხა რომ ფურგონს ვერ გამომიგზავნიდნენ, რადგან ეს ეთიკის ნორმებს არღვევსო.“ ჩემი რესპოდენტი დაინტერესდა რა ეთიკის ნორმებზე იყო საუბარი, ოპერატორმა კი უპასუხა რომ საბარგულში ეტლთან ერთად ვერ მოათავსებდნენ.

მსგავსი დიკრიმინაციული და არაეთიკური დამოკიდებულების გამო ავტობუსის მძღოლის სამსახურიდან გაშვების საკითხიც დადგა რამდენჯერმე, თუმცა საბოლოოდ თვითონ შშმ პირებმა არ მოინდომეს მათთვის სამსახურის დაკარგვა და შესაბამისი ზემდგომი ორგანო მხოლოდ საყვედურით შემოიფარგლა. თუმცა აღსანიშნავია, რომ თბილისის მერიამ ავტობუსის მძღოლები გადაამზადა ამ საკითხთან დაკავშირებით და მსგავსი ტიპის ტრენინგები კვლავ იგეგმება...

ცალკე საკითხია შშმ პირების მშობლების მდგომარეობა- „ისედაც გადატვირთული გრაფიკის მქონე მშობლის ძვირფასი დროის ხარჯვისა და დიდი მონდომების შედეგად, შესაძლოა მძღოლი „სხვა ხაზზე“ გადაიყვანონ. ხშირად ისევ შეურაცხყოფილი,

იურიდიული ტერმინით რომ ვთქვათ დისკრიმინაციის მსხვერპლი ვერ იმეტებს ოჯახის ერადერთ მარჩენალს უმუშევრობისათვის, სიღატაკისათვის ან მას სწორედ ის „უფროსობა“ დაანამუსებს, რომელთანაც საჩივლელად მივიდა“ (ანფიმიადი,კუდავა, გოდუაძე,2018)

დისკრიმინაციის ფაქტები საჯარო სივრცეში მრავლად გვხვდება, თუმცა ქართული სასამართლო პრაქტიკა მსგავს შემთხვევებზე თითქმის არ არსებობს. ყოფილა შემთხვევა, როდესაც გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირი გოგონა ავიაკომპანიის თანამშრომლების მხრიდან დისკრიმინაციის მსხვეპლი გამხდარა. „ეტლიდან გადმოვარდნის საფრთხისა და კომპანიის თანამშრომლების არაეთიკური ფრაზის („ავადმყოფი მგზავრი“) გამო მან დიდი სტრესი მიიღო. გოგონა კომპანიას კომპენსაციას კი არ სთხოვდა, პირიქით, სთავაზობდა თანამშრომლობას, დახმარებას შშმ პირთა მომსახურების, მათ მიმართ დამოკიდებულებისა და ტერმინოლოგიის დახვეწის საქმეში.“ (ანფიმიადი,კუდავა,გოდუაძე, 2018).

ჩემი რესპოდენტების პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როცა ტაქსის მძღოლმა მგზავრობის საფასურზე თანხის დამატება მოითხოვა, მხოლოდ იმიტომ რომ მანქანაში ეტლიც უნდა მოეთავსებინა. მსგავსი რამ შეგვიძლია გავიხსენოთ ბათუმის დელფინარიუმზე, სადაც დელფინებთან 15 წუთიანი ინტერაქციის ფასი შშმ პირებისთვის მნიშვნელოვნად ძვირი იყო სტანდარტულ ფასთან შედარებით. სასამართლომ კონკრეტული ორგანიზაციის სარჩელი დააკმაყოფილა, ბათუმის დელფინარიუმმა კი დისკრიმინაციული ფასი შეცვალა და გაათანაბრა.

Unicef საქართველოს მიერ 2017 წელს ჩატარებულ კვლევაში „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდთა სტიგმატიზაციის კვლევა“ ნათლადაა წარმოჩენილი სტიგმატიზაციასთან დაკავშირებული განწყობები და მსგავსი დამოკიდებულების მიზეზები. სტიგმატიზაციას ავლენენ ძირითადად- შეცოდების/სიბრალულის გამოხატვით, გადამეტებული ზრუნვით და ასევე აგრესიით/გაუცხოებით. კვლევაში ნათლადაა აღნიშნული რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ აგრესიის გამოხატვის შემთხვევები იშვიათია და ჩატარებული ათი ინტერვიუდან მსგავსი შემთხვევა არცერთ რესპოდენტს არ გაუხსენებია.

ამავე კვლევაში სტიგმატიზაციის შემდეგი მიზეზებია ჩამოთვლილი-

სტიგმატიზაციის ინსტიტუციური მიზეზები:

1. საბჭოთა პოლიტიკის ინერცია (საბჭოთა პოლიტიკა უარყოფდა განსხვავებულს, მოქმედებდა გათანაბრების (და არა თანასწორობის) პრინციპი;
2. პროფესიული ჯგუფების (მასწავლებლების, ექიმების და ა.შ) არაინფორმირებულობა შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ და შეზღუდული შესაძლებლობების მართვის დაბალი კვალიფიკაცია;

3. ქვეყანაში შშმ პირთა ოჯახებისათვის სოციალური სერვისების სიმწირე;
4. სკოლებში სპეციალური სასწავლო პროგრამების და სპეციალური პედაგოგების ნაკლებობა/დაბალი ხარისხი;
5. მოუწყობელი ინფრასტრუქტურა.

სტიგმატიზაციის კულტურული მიზეზები:

6. გაბატონებული დისკრიმინაციული კულტურული სტანდარტები/მიდგომები
7. შეზღუდული შესაძლებლობების რელიგიური ინტერპრეტაციები;
8. ეროვნული კუთვნილება.

სტიგმატიზაციის სოციალური მიზეზები:

9. შშმ ბავშვთა საკითხებისა და პრობლემების შესახებ დაბალი ცნობიერება;
10. საზოგადოების/მოქალაქეების არაინფორმირებულობა შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ;

უმთავრესი სტიგმები, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების (და არამარტო) შესაძლებლობების დისკურზე ახდენს გავლენას, არის შშმ ინდივიდების აღქმა როგორც განსხვავებული, არასრულფასოვანი ან ნაკლლული ინდივიდებისა. ამის მიზეზი არის ინფორმაციისა და ცოდნის სიმწირე, ასევე შშმ ადამიანებთან ურთიერთობის არქონა. რესპოდენტების უმრავლესობა სწორედ ამაზე მიუთითებს- მათი აზრით ცნობიერება არის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ქართულ საზოგადოებაში და სწორედ აქედან მოდის უმთავრესად შშმ პირთა მიმართ სტიგმატური დამოკიდებულება.

თავის მხრივ, საზოგადოებაში გავრცელებულ სტიგმაზე მოქმედებს სოციალურ-პოლიტიკური ფონი. Unicef საქართველოს (2017, გვ.29) კვლევის თანახმად, ამ სოციალურ-პოლიტიკურ ფონს ამძაფრებს ინსტიტუციური გაუცხოება, რომელშიც იგულისხმება:

1.საჯარო დაწესებულებების არაადაპტირებულობა;

2.საყოველთაო სერვისების ხელმისაწვდომობის დაბალი დონე შშმ პირებისათვის;

3. შშმ პირებისათვის არსებული სერვისების გაუმართაობა;

4.პოლიტიკის დაგეგმვაში შშმ პირების გაუთვალისწინებლობა;

5.სამედიცინო სფეროსი შშმ პირებთა მომსახურებისთვის შესაფერისი ცოდნისა და კომპეტენციის ნაკლებობა.



შენიშვნა: ისრების ორმხრივობა მიუთითებს იმაზე, რომ მიმართება სქემის ელემენტებს შორის არ არის ცალმხრივი და რომ ელემეტები ურთიერთგავლენას განიცდიან.

შშმ ინდივიდთა დისკრიმინაციის ყველაზე გავრცელებულ ინსტიტუტებად ითვლება- სკოლა; სამედიცინო დაწესებულებები; ოჯახები,სადაც შშმ პირები ჰყავთ; საჯარო სივრცე; ჟურნალისტები/მედია და არასამთავრობო ორგანიზაციები.

ჩატარებულ ინტერვიუებში სკოლაში სტიგმატიზაციის შემთხვევა არ გამოვლენილა, ოჯახში სტიგმატიზაციის მხოლოდ ორი შემთხვევა, ხოლო სამედიცინო დაწესებულებებში დისკრიმინაციულ და არასწორ დამოკიდებულებაზე ყველა რესპოდენტმა ისაუბრა.

ოჯახში სტიგმატიზაციის ფაქტზე ერთ-ერთმა რესპოდენტმა სწორედ ზემოთ ნახსენები საბჭოთა ინერცია მოიყვანა მიზეზად. რესპოდენტის მამამ ადეკვატურად ვერ მიიღო შვილის გადაადგილების შეზღუდვა (16 წლის ასაკში რესპოდენტს გაუკეთდა ოპერაცია ხერხემალზე სიმსივნის გამო) თუმცა, რესპოდენტი ასევე აღნიშნავს, რომ- „ახლა, როცა

ბევრი რამ დავამტკიცე- მაქვს სამსახური, მყავს ოჯახი, მყავს შვილი, მაქვს საკუთარი ბინა, მშობლების დამოკიდებულება შეიცვალა და ახლა მათთან კარგი ურთიერთობა მაქვს.“

რამდენიმე რესპოდენტის აზრით არასამთავრობოები, რომელთაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხები ეხებათ, არაეფეტური მუშაობით გამოირჩევიან. ერთ-ერთი რესპოდენტის აზრით-„სახელმწიფოს მოქმედება არის სრულიად არაეფექტური და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხები არ არის მათთვის პრიორიტეტული, რადგან ის ორგანიზაციები და არასამთავრობოებიც არაეფექტურად მუშაობენ, ვინც უნდა ითხოვდეს სახელმწიფოსგან პრობლემების მოგვარებას.“ გამოსავალს გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირები სამოქალაქო საზოგადოებისგან მკაფიო მოთხოვნების დაყენებაში და თვითონ შშმ პირების აქტიურობაში ხედავენ.

ექსპერტების აზრით, რაც უფრო მეტადაა გამოხატული ფიზიკურად შეზღუდული შესაძლებლობები, მით უფრო დიდია სტიგმატიზაციის დონე; ასევე მაღალი სტიგმა არსებობს ფსიქიკური/მენტალური დაავადებების მიმართაც (unicef,2017)

დასკვნა

გავმეორდები და ვიტყვი, თუ რა იყო კვლევის ამოცანები და მათთან შესაბამისობაში ჩამოვაყალიბებ დასკვნებს-

1. გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირების ინტერპერსონალური ურთიერთობებსა და ზოგადად, ცხოვრებაზე მოქმედი ფაქტორების გაანალიზება;
2. გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირების განათლებასა და პროფესიული კარიერის განვითარებასთან დაკავშირებული გამოწვევები;
3. გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირების შესახებ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების და პოზიტიური დისკრიმინაციის შემთხვევების გაანალიზება.

გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირების ინტერპერსონალურ ურთიერთობებზე ყველაზე დიდი გავლენა მშობლებს აქვთ, თუმცა უფრო მეტად სოციალიზებულ და აქტიურ შშმ პირებზე შეგვიძლია ვქვათ, რომ მათზე მეგობრებს აქვთ ყველაზე დიდი გავლენა.

კითხვაზე, თუ ყველაზე მეტად ვისგან გრძნობდნენ მხარდაჭერას, რესპოდენტების უმრავლესობამ მშობლები დაასახელა, რამდენიმემ (სამმა) კი პარტნიორი.

მათზე, როგორც ყველა სხვა ადამიანზე, დიდი გავლენა მოახდინა მეგობრებთან ურთიერთობამ, დასაქმებამ, თანამშრომლებთან ურთიერთობამ და სოცილიზაციის ყველა იმ ასპექტმა, რაც ადამიანს პიროვნებად ჩამოყალიბებაში უწყობს ხელს.

რესპოდენტების უმრავლესობა არის აბსოლიტურად ღია და გახსნილი ცვლილებების მიმართ, თავს მიიჩნევენ საზოგადოების სრულფასოვან წევრად (მიუხედავად ბევრი წინაღობისა), მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში (ორი რესპოდენტი გოგოს შემთხვევაში) იგრძნობა საზოგადოებისგან წნეხისა და სტიგმატური დამოკიდებულების გავლენა- ისინი არ თვლიან თავს სრულფასოვან ქალებად და სამწუხაროდ, არ ფიქრობენ ოჯახის შექმნაზე.

რაც შეეხება სკოლასა და უმაღლეს განათლებას, ძირითად შემთხვევაში გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირებისათვის გარემოს ადაპტირება არის პრობლემა, რაზეც აქტიურად უნდა მუშაობდეს სახელმწიფო და აბსოლიტურად ყველა სკოლა უნდა იყოს ადაპტირებული, რომ აღარაფერი ვთქვათ ქუჩებსა და ტრანსპორტზე. საჭიროა ამ საკითხების მოგვარება, რათა გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირები ბავშვობიდანვე მიეჩვიონ დამოუკიდებლად გადაადგილებას ქალაქის ქუჩებში. სმენადაქვეითებულებისა და მხედველობადაქვეითებული შშმ პირებისგან განსხვავებით, მათ არ სჭირდებათ დამატებით აუდიო წიგნებისა და ჟესტური ენის თარჯიმნებით უზრუნველყოფა, შესაბამისად მათთვის ბევრად უფრო მარტივი უნდა იყოს სასკოლო და უმაღლესი განათლების მიღება.

განათლების ხელმისაწვდომობა იქნება სწორედ ყველაზე ხელშესახები წინგადადგმული ნაბიჯი, რითაც სახელმწიფო ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მეტად დასაქმებასაც. ზემოთაც ვახსენე, რომ ხშირად პრობლემატური არის შშმ პირებისათვის შესაფერისი სამუშაოს მოძებნა მათი არასრული განათლების გამო.

საჭირო არის ასევე დღის ცენტრის სტანდარტების დახვეწა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე მაქსიმალურად მორგება და დღის ცენტრის ალტერნატივის შეთავაზება.

უმნიშვნელოვანესი საკითხი არის გარემოს ადაპტირება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვა. ადაპტირებული გარემო ავტომატურად გამოიწვევს უფრო მეტი გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირის ქუჩაში გამოსვლას და მათ სოცილიზაციას, შესაბამისად საზოგადოებას მათთან უფრო ხშირად ექნება კონტაქტი და ამით უფრო მეტად გაიზრდება საზოგადოების ცნობიერება შშმ პირთა შესახებ. იმაზე უფრო მეტადაც, ვიდრე სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული სხვადასხვა ღონისძიებებით.

ასევე საჭირო არის ყველა იმ საჯარო მოხელის გადამზადება, ვისაც ყველაზე ხშირად აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან შეხება. ვგულისხმობ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მძღოლებს, მასწავლებლებსა და ექიმებს. სასურველი იქნებოდა მომსახურების სფეროში მომუშავეთათვისაც (კაფეები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, ბანკები, კინოთეატრები და ა.შ) ცნობიერების ამაღლება ამ კუთხით, რათა სახლიდან გამოსულ შშმ პირს ისევ და ისვე არ შეექმნას პრობლემები- არ იგრძნოს თავი სტიგმატიზებულად, სხვებისგან გამორჩეულად ან ჰიპერმზრუნველობის ობიექტად. სავალდებულო არის ასევე შშმ პირების მშობლების ცნობიერების ამაღლებაც, რათა აუცილებლად ატარონ შვილი სკოლაში და ხელი შეუწყონ მის დამოუკიდებლობას.

ასევე აუცილებელია არის საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ქუჩაში პარკირების წესებთან დაკავშირებით. ეს ერთი შეხედვით მარტივი საკითხი საკმაოდ პრობლემატურია გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირებისათვის, რადგან მხოლოდ მათვის გამოყოფილ სპეციალურ პარკინგზე აჩერებენ არაშშმ პირები თავიანთ მანქანებს, (ასევე ადაპტირებულ ასასვლელებთან), რის გამოც კიდევ უფრო მეტად ხელს უშლიან შშმ პირების თავისუფლად გადაადგიელებას ქალაქის ტერიტორიაზე.

მნიშვნელოვანი საკითხი არის დადგენილება #41-ის მოქმედების მექანიზმების შემუშავება და ჯარიმების დაწესება იმ მცირე, საშუალო თუ დიდი ბიზნესისათვის, რომელსაც არ ექნება ადაპტირებული შენობის მინიმუმ შესასვლელი და შემდეგ უკვე სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები (სართულებზე გადააგილებისათვის საჭირო ადაპტირება, ადაპტირებული საპირფარეშო და ა.შ);

სახელმწიფომ აღარ უნდა გასცეს ნებართვა იმ შენობის აგებაზე, რომელსაც არ ექნება შშმ პირებისათვის შესაფერისი შესასვლელი და შენობაში გააადგილებისათვის საჭირო პირობები; ასევე საჭიროა მკაცრად განისაზღვროს მსგავსი შესასვლელების (და არამარტო) აგების სისწორე, რათა არ განმეორდეს თბილისის მიწისქვეშა გადასასვლელებში არსებული სიტუაციის მსგავსი შემთხვევა (ვგულისხმობ იმას, რომ დამონტაჟებულია არასწორი დახრილობის მქონე პანდუსები და გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირები ვერ ახერხებენ მისით სარგებლობას).

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე აქტიურად მუშაობის შემდეგ შეიცვლება ყველაზე მთავარი- საზოგადოების სტიგმატური დამოკიდებულება გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირთა მიმართ და ზოგადად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართაც. საჭირო არის არამარტო სახელმწიფოს მუშაობა ამაზე, არამედ არასამთავრობოების და თავად შშმ პირების აქტიურობაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) შშმ პირთა უფლებების კონვენცია (საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება) (2014) (https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289?publication=0)
2) ნანა სუმბაძე,თამარ მახარაძე, თამარ აბაშიძე,ირინე ჟვანია (2015)-„მიკრო და მაკრო ფაქტორების გავლენა შშმ პირთა სამუშაო გარემოსთან ადაპტაციასა და შრომით ეფექტურობაზე“
3) „შშმ ბავშვთა სტიგმატიზაციის კვლევა“ (სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ მომზადებული კვლევა, 2016. UNICEF Georgia) https://www.unicef.org/georgia/media/1176/file
4) ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) (2017) „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების ანალიზი“ (https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2017/idfi_general/statistics_on_pwds_in_georgia_geo_idfi.pdf)
5) ნინო თარხნიშვილი, („რადიო თავისუფლება“ 2016,14.06)-„შშმ პირთა პრობლემები“ (https://www.radiotavisupleba.ge/a/ssm-pirta-problemebi/27796695.html)
6) დიანა მესეშანი (2016 წ. 16 თებერვალი „რადიო თავისუფლება“)-„უხილავი კედელი“ (https://www.radiotavisupleba.ge/a/the-invisible-wall/27556049.html)
7) ესმა გუმბერიძე, (2016, 4.02)- „შშმ პირთა განათლების, დასაქმებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის შესახებ“ (საკონფერენციო მოხსენება) https://fabiansocialists.wordpress.com/2016/02/04/
8) საქართველოს მთავრობის დადგენილება #41 (2014, 6 იანვარი) –„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ (https://matsne.gov.ge/ka/document/download/2186893/0/ge/pdf)
9) ნინო თარხნიშვილი (2016, 12 ივლისი)-“სექტემბრიდან თბილისში გამოჩნდება ლურჯი ავტობუსები“ (https://www.radiotavisupleba.ge/a/lurji-avtobusebi/27854110.html)
10) მაია წულაძე, მარიამ ხვადაგიანი (2018) –„სპეციალური სჭიროების მქონე ბავშვთა სკოლაში ტრანზიციის ხელშეწყობა“
11) დიანა ანფიმიადი,მაია კუდავა,მარიამ გოდუაძე (2018)- „მასწავლებლის წიგნი“
12) ინკლუზიური განათლება, (2019) „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა“ (http://inclusion.ge/geo/static/7)

13) თამარ მახარაძე (2017)- „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ბავშვთა დღის ცენტრების სტანდარტების დახვეწა“
14) თამარ მახარაძე, ირინე ჟვანია, ლინდა სტივენსონი (2018) –„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების მხარდამჭერი სოციალური სერვისების გაუმჯობესება“
15) გიორგი კაკაჩია, ირინე ჟვანია (2016)-„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმება: არსებული პრაქტიკა და გამოწვევები“
16) საქსტატი, ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სახლებში განთავსებულთა რაოდენობა (https://www.geostat.ge/ka/modules/categories/55/sotsialuri-uzrunvelqofa)
17) უმუშევრობის დონე, საქსტატი (https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevroba)
18) „მოქალაქეთა ნაწილმა ადაპტირებული ტრანსპორტის მოთხოვნით აქცია გამართა“ („ტაბულა“, 2014 წ. მარტი) (http://www.tabula.ge/ge/story/80966-moqalaqeta-natsilma-adaptirebuli-transportis-motxovnit-aqcia-gamarta)
19) თბილისის მერია, (2019, 27 მაისი) „ თბილისის მერის მოადგილე და სატრანსპორტო კომპანიის გენერალური დირექტორი ISUZU-ს მწარმოებელ კომპანიას სამუშაო ვიზიტით ეწვივნენ“(http://www.tbilisi.gov.ge/news/7868)
20) თბილისის მერია, (2015, 18 ივლისი)- „თბილისის მერმა ააიპ „თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრის“ სპორტული კომპლექსი საზეიმოდ გახსნა“ (http://tbilisi.gov.ge/news/1302)
21) თბილისის მერია (2019) -2019 წლის სოციალური პროგრამები (http://tbilisi.gov.ge/page/3252)
22) UNICEF საქართველო, (2018წ. 20 დეკემბერი)“შშმ ბავშვებისათვის სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურების გასხნა” (https://www.unicef.org/georgia/ka/)

შენიშვნა: ყველა დანართი ამოღებულია IDFI კვლევიდან (2017)

Iv.Javakhishvili Tbilisi state university

Nana mikautadze

Social inclusion of people with physical disabilities- main challenges

Master program of sociology

Thesis is done to obtain master degree in sociology

Head of master thesis: Tamar Makharadze, doctor in public policies, full professor of Iv.Javakhishvili state university

Tbilisi 2019